ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 546

19 ნოემბერი
"---"-------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ. №29 (ს/კ. №01.13.05.004.139), კოსმონავტების ქ. №49 (ს/კ. №01.13.05.004.142), კოსმონავტების ქ. №47 (ს/კ. №01.13.05.004.059) კოსმონავტების სანაპირო №45 (ს/კ. №01.13.05.004.173), კოსმონავტების სანაპირო №51გ (ს/კ. №01.13.05.004.058) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ. 204531499), შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 204460957), შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 202446246) და შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტის" (ს/ნ. 405243482) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლისა და ,,ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ. №29 (ს/კ. №01.13.05.004.139), კოსმონავტების ქ. №49 (ს/კ. №01.13.05.004.142), კოსმონავტების ქ. №47 (ს/კ: №01.13.05.004.059) კოსმონავტების სანაპირო №45 (ს/კ. №01.13.05.004.173), კოსმონავტების სანაპირო №51გ (ს/კ. №01.13.05.004.058) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ. 204531499), შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 204460957), შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 202446246) და შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტის" (ს/ნ. 405243482) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 ნოემბრის №21.1591.1769 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ. 204531499), შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 204460957), შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 202446246) და შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტის" (ს/ნ. 405243482) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ. №29 (ს/კ. №01.13.05.004.139), კოსმონავტების ქ. №49 (ს/კ. №01.13.05.004.142), კოსმონავტების ქ. №47 (ს/კ. №01.13.05.004.059) კოსმონავტების

სანაპირო №45 (ს/კ. №01.13.05.004.173), კოსმონავტების სანაპირო №51ბ (ს/კ. №01.13.05.004.058), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (2020 წლის 19 ოქტომბრის განკარგულება №20.1226.1527; დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ - 2021 წლის 21 ივლისის განკარგულება №21.1003.1138,) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (2020 წლის 20 ოქტომბრის განკარგულება №310, დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ - 2021 წლის 23 ივლისის განკარგულება №325) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შემდეგი დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მოხდეს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმება ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,წესების" შესაბამისად;

ბ) შენობის განთავსება და ღიობების მოწყობა მოხდეს ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,წესების" შესაბამისად;

გ) განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში შემავალი მიწის ნაკვეთების (ს/კ. №01.13.05.004.139, ს/კ. №01.13.05.004.059, ს/კ. №01.13.05.004.058):

გ.ა) განაშენიანების კოეფიციენტი - (კ-1) განისაზღვროს – 0.7-ით;

გ.ბ) გამწვანების კოეფიციენტი - (კ-3) განისაზღვროს - 0.1 - ით;

დ) დაინტერესებულმა პირმა - შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტმა" (ს/ნ. 405243482) ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების, დაგეგმილი საპარკო ინფრასტრუქტურის და გამწვანების პროექტი წარმოადგინოს არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ახვლედიანი**